სსიპ შუახევის მუნიციპალიტეტის სოფ. ბრილის საჯარო სკოლა

სასკოლო პროცესში მოსწავლეთა ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზების დადგენა და გადაჭრის გზები ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილზე V კლასში

კვლევის ავტორი: ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი
გუგული ბოლქვაძე

2017-2018 სასწავლო წელი

სარჩევი

შესავალი ---------- 3

პრობლემა და საკვლევი საკითხი ---------- 4

კვლევის მნიშნელობა ---------- 6

ლიტერატურის მიმოხილვა ---------- 7

კვლევის მიზანი და ამოცანები ---------- 9

მეთოდოლოგია ---------- 9

კვლევის გეგმა ---------- 9

ინტერვენციის განხორციელება, ინტერვენციის შედეგები ---------- 11

კვლევის ეტაპები დაწვრილებითი აღწერა -------- 13

აქტივობების ნუსხა ---------- 19

დასკვნები ---------- 26

გამოყენებული ლიტერატურა და ბმულები ---------- 27

დანართები ---------- 28-42

რეფლექსია ---------- 42

შესავალი

2017-2018 სასწავლო წელს ბრილის საჯარო სკოლაში ჩავატარე კვლევა მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვის, კითხვარის გამოყენებით.

პედაგოგების გამოკითხვა მიზნად ისახავდა, დამედგინა, ნამდვილად აქტუალურია თუ არა ეს საკითხი, მიიჩნევენ თუ არა პედაგოგები, რომ ეს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პრობლემური საკითხია, თვლიან თუ არა, რომ ცუდი ურთიერთობა ზემოქმედებს მოსწავლეებზე და გავლენას ახდენს სასწავლო პროცესზე, მოსწავლეთა მოსწრებაზე.

მოსწავლეთათვის შედგენილი და დარიგებული კითხვარები, მიზნად ისახავდა, გამოგვერკვია, როგორი ურთიერთობა აქვთ მეხუთე კლასის მოსწავლეებს ერთმანეთთან, როგორია მათი განწყობა და დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ. საბოლოო ჯამში კი შევძლებდით, მათი ურთიერთობის მოგვარების დაჩქარებას, რასაც, როგორც ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვს სასწავლო პროცესისთვისაც (მოსწავლის ქცევასა და აკადემიურ მოსწრებაზე უდიდეს გავლენას ახდენს მისი განწყობა მასწავლებლებისადმი, საგნისადმი, კლასელებისადმი. განწყობა მოქმედებს სწავლის პროცესზე, მოსწავლის მოტივაციაზე, სწავლის სურვილზე).

კვლევაში მონაწილეობდა 13 რესპოდენტი - 10 პედაგოგი და 3 მოსწავლე: მეხუთე კლასის მოსწავლეები.

წინამდებარე ანგარიში შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ:

- ➢ თუ როგორია მოსწავლეთა განწყობა;
- ➢ რამდენად არიან ისინი ერთმანეთის მიმართ კარგად განწყობილი;
- ✓ თუ როგორია მასწავლებელთა დამოკიდებეულება ამ საკითხის მიმართ;
- ✓ რა ხერხებით ცდილობენ პედაგოგები ამ პრობლემის გადაჭრას;
- ✓ რა მიზნების დასახვა და რა გზების გამონახვაა შესაძლებელი მოსწავლეებში თბილი, მეგობრული გარემოს ფორმირებისთვის.
- ❖ როგორ მიმდინარეობდა ინტერვენცია;
- ❖ რა აქტივობები განვახორციელეთ;
- ❖ რა შედეგებზე გავედით.

კვლევის შედეგად მიღებული ინფორმაცია დამეხმარა შემდგომ საქმიანობაში, სხვა კლასებთან მუშაობის დროსაც. ვფიქრობ, ეს კვლევა საინტერესო იყო ჩემი კოლეგებისთვისაც და გამოადგება ბევრ პედაგოგს საგაკვეთილო პროცესის უკეთ წარმართვაში.

პობლემა და საკვლევი საკითხი

სოფიკო ლობჟანიძე (,,როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები'') გვირჩევს, რომ კვლევის დაწყებამდე საკუთარ თავს დავუსვათ კითხვები: ,,რამდენად მნიშვნელოვანია ეს სიტუაცია ჩემი პროფესიული ზრდისთვის, ჩემი სკოლისა და მოსწავლეებისთვის? აქვს მას საჭირო აღმზრდელობითი ღირებულება?''

ვფიქრობ, ჩემთვისაც, როგორც სხვა პედაგოგებისთვის, ეს კითხვები ყველაფრის საფუძველია. მე, როგორც პედაგოგს, არაერთხელ შემინიშნავს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში მოსწავლეთა დაპირისპირების, გარიყულობის, ჩაკეტილობის, ირონიულ-ცინიკური დამოკიდებულების გამომხატველი მომენტები და არაერთი გაკვეთილი თუ კლასის საათი დამითმია მოსწავლეებში გულთბილი დამოკიდებულებების გასაღვივებელი აქტივობებისთვის, მაგრამ ეს ყველაფერი უმეტესად სპონტანურად ხდებოდა, სიტუაციიდან გამომდინარე, ან უბრალოდ გეგმიურად, როგორც კლასის საათის გეგმის ნაწილი და ა.შ. და ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ნებისმიერ ასეთი საკლასო აქტივობა თუ კლასგარეშე ღონისძიება, ვგრძნობდი, რომ აუმჯობესებდა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას და ეს აისახებოდა საგაკვეთილო პროცესზეც. თუმცა, არასდროს მიწარმოებია ამ საკითხზე საფუძვლიანი კვლევა და არ შემიმუშავებია მიზანმიმართული გეგმა. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე, სწორედ ამ საკითხს ჩავღრმავებოდი,

ვფიქრობდი, რომ ჩემთვის, ჩემი მოსწავლეებისა და კოლეგებისთვის საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნებოდა კვლევის შედეგები.

ნევროლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანები იღებენ მეტ ბედნიერ ებას სხვებთან ურთიერთობისგან, ვიდრე მარტო გამარჯვებისგან.

გამოდის, რომ ყველა ადამიანში არის დაფარული ეგო, მაგრამ ამის მიუხედავად, ადამიანი ბედნიერია მაშინ, როცა თანაუგძნობენ და თანაუგრძნობს, როცა მისი ესმით და როცა გრძნობს, რომ მასაც ესმის სხვისი, თავადაც სჭირდება სხვას.

ეს მოთხოვნილება ყველა ადამიანშია, განსაკუთრებით ბავშვებში, კიდევ უფრო მძაფრად გარდატეხის ასაკში, როცა ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ეჩვენება მოზარდს, რომ რაღაც არ გამოსდის, რომ გარეგნულად ისე არ გამოიყურება, როგორც ისურვებდა, რომ ვეღარც მშობლები უგებენ და ვეღარც მეგობრები და ა.შ. სწორედ ამიტომაა საჭირო მოზარდებში ურთიერთობის დროული მოგვარება, ურთიერთობის სწავლება,

შედეგი კი

,,დაეხმარო ბავშვებს, გაიგონ სხვისი გრძნობები ქმედებებს მიღმა და

გაუძღვე მათ კეთილი დასკვნებისკენ –

სწორედ ეს არის ურთიერთობის სწავლება. ეს განსაზღვრავს გარკვეულ ნერვულ ბი ლიკს პატიებისკენ და ბადებს მეტ ნდობას, ურთიერთობას, უკეთეს და-ძმურ ურთიერთობას...'' (,,ემპათიის სწავლება'')

ამდენად, მოსწავლეებში ურთიერთობის მოგვარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდისათვის ფსიქლოგიურ-სოციალური თვალსაზრისით. მოზარდი ცდილობს თვითდამკვიდრებას, ეძებს კავშირებს, დასაყრდენს და არც თუ იშვიათად ხდება, როდესაც უჭირს პოვნა, უჭირს თვითგამოხატვა, ერიდება… იკეტება… ზოგჯერ კი დაცინვის ობიექტიც კი ხდება და გაირიყება. მსგავსი შემთხვევები ყოველი პედაგოგისთვის ნაცნობი და მტკივნეულია. გარიყული, დამცირებული, ჩაკეტილი ბავშვები პრობლემურები ხდებიან და მათი მდგომარეობა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება სწავლის პროცესზეც.

კვლევის მნიშვნელობა

იმისთვის, რომ მოსწავლეებს კარგი ურთიერთობა ჰქონდეთ ერთმანეთთან, საკუთარი ძალები განავითარონ (თუნდაც, ჩვენი დახმარებით), ჯერ უნდა დაიჯეროს ამ ძალების, უნდა გამოავლინოს საკუთარი თავი. არ ექნება კარგი ურთიერთობა თანაკლასელებთან, თუ ამას ვერ შეძლებს. სწავლების პროცესი ძალიან გართულდება, შეიძლება, ბავშვმა მალევე აიცრუოს გული ან სულაც ჩაიკეტოს.

გულგრილობა,დაცინვა,

ზედაპირული ან უბრალოდ, ვირტუალური ურთიერთობები - ეს

დღევანდელობის ნიშანია.

გამოსავლის ძიების ნაცვლად კი ყველაფერს

უბრალოდ ტექნოლოგიებს ვაბრალებთ, არადა, ბავშვებს უჭირთ

ურთიერთობები, მით უმეტეს,

- ✓ ნამდვილ ურთიერთობებს მეტი დრო სჭირდება (უნდა მიხვიდე, მოვიდეს, გიამბოს, უამბო და თანაუგრძნო) .

მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა ურთიერთგაგების პროცესს.

თითქმის ყველა სკოლაში იჩენს ხოლმე თავს კლასებში მცირე დაპირისპირება, გულისტკენა, კონფლიქტი. ეს ყველა პედაგოგს შეუნიშნავს გარკვეულ ასაკსა თუ სიტუაციებში. ეს ყველა სკოლასა და ყველანაირ სოციუმს ახასიათებს. ჩვენი მიზანი კი ისაა, რომ მსგავსი მოვლენები და მათი არსებობის ალბათობა მინიმუმამდე იქნას დაყვანილი. სწორედ ამიტომ შევარჩიე საკვლევად ეს საკითხი.

ვფიქრობ, წინამდებარე პრობლემა არ ეხება მხოლოდ რამდენიმე მასწავლებელს ან როგორც ზოგჯერ ჰგონიათ, ეს არც მარტო მშობლისა და არც მარტო დამრიგებლის პრობლემაა. ურთიერთობების დათბობაზე თანაკლასელებს შორის ყოველი პედაგოგი უნდა ზრუნავდეს, რადგან ეს მოსწავლეების დადებითი განწყობის

საფუძველია, რაც საბოლოოდ ქმნის ჯანსაღ ურთიერთობას და დადებითად აისახება სასწავლო პროცესზეც.

ჩვენი აზრით, ეს კვლევა მნიშვნელოვანი იქნება ჩვენი სკოლისთვის და არანაკლებ საინტერესო და აქტუალური - სხვა სკოლებისათვის.

ლიტერატურული მიმოხილვა

მოსწავლეთა შორის არა სასურველი ურთიერთობა, მათი დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ დიდად მოქმედებს სწავლის პროცესზე, ასეთი ურთიერთობა არის მოზარდებში მას დროულად აღმოფხვრა სჭირდება. ფსიქოლოგი, კარლ როჯერსი, ასეთ მოვლენებს ემპათიას უწოდებს და ასე განმარტავს:

,,ემპათია ნიშნავს სხვა ადამიანის შინაგანი სამყაროს აღქმას ყველა იმ ემოციური და აზრობირივი დატვირთვის შენარჩუნებით, რომლითაც ეს ადამიანი ხასიათდება. ემპათიის დროს ხდება ამ ადამიანის სიხარულისა და ტკივილის, მისი შეგრძნებების ისეთი აღქმა, როგორადაცესადამიანი აღიქვამს თავის მდგომარეობას'' (სტატია ,,სიმპათიური და ემპათიური'')

,,ემპათია არის უნარი გაიაზრო სხვისი ემოციები ან უფრო მარტივად რომ ვთქ ვათ – გქონდეს უნარი სხვისიფეხსაცმლით გაიარო რამდენიმე მილი'', - ვკითხულობთ ინტერნეტგაზეთში, სტატიაში, რომლის სათაურია - ,,ემპათიის სწავლება'', რაც პირდაპირ მიგვითითებს იმაზე, რომ ემპათია ისწავლება. მაგრამ რამდენადაა საჭირო ვასწავლოთ იგი ვინმეს? რამდენადაა აუცილებელი, შევძლოთ სხვისი ფეხსაცმლით რამდენიმე მილის გავლა?

,,უკანასკნელი ნევროლოგიური კვლევები გვიჩვენებს, რომ ადამიანები იღებენ მეტ ბედნიერებას სხვებთანურთიერთობისგან, ვიდრე მარტო გამარჯვებისგან. მეცნი ერებმა აღმოაჩინეს "სოციალური ტვინი'', რომელიც ინთება
იმისთვის, რომ დაგვანახოს – ჩვენ გვამოძრავებს პირადი ინტერესებისგან განსხვავებ ული რამ, ჩვენ ვმოძრაობთ

სოციალური კავშირებისადმი. მზრუნველ ურთიერთობებს ბედნიერებისკენ უფრო მი ვყავართ, ვიდრე, მაგალითად, ფულს'' (,,ემპათიის სწავლება'').

გამოდის, რომ ყველა ადამიანში არის დაფარული ექო, მაგრამ ამის მიუხედავად, ადამიანი ბედნიერია მაშინ, როცა თანაურგძნობენ და თანაურგრძნობს, როცა მისი ესმით და როცა გრძნობს, რომ მასაც ესმის სხვისი, თავადაც სჭირდება სხვას.

ეს მოთხოვნილება ყველა ადამიანშია, განსაკუთრებით ბავშვებში, კიდევ უფრო მძაფრად გარდატეხის ასაკში, როცა ზოგჯერ სრულიად უმიზეზოდ ეჩვენება მოზარდს, რომ რაღაც არ გამოსდის, რომ გარეგნულად ისე არ მოიყურება, როგორც ისურვებდა, რომ ვეღარც მშობლები უგებენ და ვეღარც მეგობრები და ა.შ. ეს ყველაზე დამთრგუნველი ფიქრები და შეგრძნებები, მეტ-ნაკლებად ყველა ბავშვს ეუფლება და წარმოიდგინეთ, რა რთულია, როცა ეს ფიქრებისა და ტრანსფორმაცია თითქმის ემთხვევა სკოლის, კლასის შეცვლა და სრულიად ახალ გარემოში მოხვედრა, თვითდამკვიდრებისა და ადაპტაციის პროცესის გავლა. სწორედ ამიტომაა საჭირო ეპათიის სწავლება, ემპათიური გარემოს შექმენა. ,,მონაპოვარი'' ანუ შედეგი კი

,,დაეხმარო ბავშვებს, გაიგონ სხვისი გრძნობები ქმედებებს მიღმა და გაუძღვე მათ კეთილი დასკვნებისკენ –

სწორედ ეს არის ემპათიის სწავლება. ეს განსაზღვრავს გარკვეულ ნერვულ ბილიკს პა ტიებისკენ და ბადებს მეტ ნდობას, ურთიერთობას, უკეთეს და-ძმურ ურთიერთობას...'' (,,ემპათიის სწავლება'')

ამდენად, კარგ ურთიერთობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოზარდისათვის ფსიქლოგიურ-სოციალური თვალსაზრისით. მოზარდი ცდილობს თვითდამკვირდებას, ეძებს კავშირებს, დასაყრდენს და არც თუ იშვიათად ხდება, როდესაც უჭირს პოვნა, უჭირს თვითგამოხატვა, ერიდება… იკეტება… ზოგჯერ კი დაცინვის ობიექტიც კი ხდება და გაირიყება. მსგავსი შემთხვევები ყოველი პედაგოგისთვის ნაცნობი და მტკივნეულია. გარიყული, დამცირებული, ჩაკეტილი ბავშვები პრობლემურები ხდებიან და მათი მდგომარეობა, ბუნებრივია, უარყოფითად აისახება სწავლის პროცესზეც.

კვლევის მიზანი

- ❖ გამოვარკვიოთ, როგორია მოსწავლეების ურთიერთდამოკიდებულება, როგორ მიდის მოსწავლეთა ურთიერთობის პროცესი.
- ➢ დავადგინოთ პრობლემის წარმოქმნის მიზეზი;
- ➢ შევამციროთ პრობლემები;
- ➢ გამოვნახოთ ყველა ის აქტივობა რომელიც ხელს შეუწყობს პრობლემის მოგვარებას;
- ➢ ჩავანაცვლოთ გულგრილობას, ურთიერთ გაგება და სიყვარული;

კვლევის მეთოდები:

- ➢ გასაუბრება პედაგოგებთან;
- ➢ პირველადი დაკვირვება;
- ➢ ინტერვიუ პედაგოგებთან;
- ➢ პედაგოგების გამოკთხვა;
- ➢ მოსწავლეების გამოკითხვა ;
- ➢ კვლევის შედეგების ანალიზი.

კვლევის გეგმა

1. დაკვირვების გზით მიღებული ინფორმაციის შეჯერება;
2. კვლევის შედეგებზე მსჯელობა, დასკვნების გამოტანა;
3. გეგმების დასახვა პედაგოგებთან ერთად;
4. დასახული გეგმის განხორციელება - ინტერვენციის განხორცილება;
5. მიღებული შედეგები და მათი ანალიზი;
6. გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის;

7. კავშირი ესგ-სთან.

აქტივობა	ი ა ნ ვ ა რ ი	თ ე ბ ე რ ვ ა ლ ი	მ ა რ ტ ი	ა პ რ ი ლ ი	მ ა ი ს ი	ი ვ ნ ი ს ი
კვლევის ჯგუფის შექმნა	+					
გეგმის დასახვა პედაგოგებთან ერთად		+				
კითხვარის შედგენა	+					
მონაცემთა ანალიზი			+			
კავშირი ესენგესთან		+				
ქმედების/ინტერვენციების განხილვა				+		

ქმედების/ინტერვენციების განხორციელება					+	
გამოცდილების გაზიარება კოლეგებისთვის						+

ინტერვენციის განხორციელება, ინტერვენცია და მიღებული შედეგები

- დაკვირვების გზით მიღებული ინფორმაციის

ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებიდან გამომდინარე, პედაგოგი ვალდებულია იზრუნოს და იღვაწოს ტოლერანტი, შემწყნარებელი, მოსიყვარულე მოქალაქეების აღსაზრდელად.

იქ სადაც, არ არის კარგი ურთიერთობა, ვერ იქნება შემწყნარებლობა და ტოლერანტიზმი; სადაც ეს ღირებულებები იგნორირებულია, უგულებელყოფილია ადამიანური დამოკიდებულებები; ამ უკანასკნელის გარეშე კი არანაირ განათლებას არ აქვს აზრი.

ეროვნულ სასაწავლო გეგმაში ძალიან კარგად ჩანს, რომ სრულფასოვანი, მოაზროვნე ადამიანის ჩამოყალიბება უმთავრესი რამაა. მოზარდი უნდა შევამზადოთ დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის, აქტიური მოქალაქეობისთვის, ახალ სიტუაციებში ადაპტირებისათვის, კონფლიქტების მართვისათვის. აქვეა აღნიშნული, რომ თითოეული მოსწავლე უნიკალურია და მის ფსიქო-ფიზიკურ მდგომარეობას ყურადღება უნდა ექცეოდეს სკოლაში. თავად სკოლის გარემო კი უნდა იყოს დადებითი, სანდო, თბილი. სასკოლო გარემოს კი კედლებსა და ინვენტარზე მეტად მოსწავლეები და მასწავლებლები ქმნიან.

(იხილეთ ამონარიდები:

5. 1. ზოგადი ნაწილი

6. ა) შესავალი

7. ხელი უნდა შეუწყოს პიროვნების პირადი, ცხოვრებისეული, სოციალური თუ პროფესიული სირთულეების დამოუკიდებლად დაძლევის პროცესს, ვინაიდან ქართული ენა მხოლოდ ერთ-ერთი **სასწავლო საგანი** კი არ არის, არამედ, სხვა საგანთაგან განსხვავებით, **სწავლების ენაა**, ყველა დანარჩენი საგნის შესწავლის საშუალებაა.

მუხლი 7. ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნები

ზოგადი განათლების სწავლა-სწავლების მიზნებია მოსწავლეს განუვითაროს/ჩამოუყალიბოს:

ნ) ახალ სიტუაციებთან, ცვლად მოთხოვნებთან ადაპტირების უნარი; საზოგადოებაში თვითდამკვიდრების უნარი;

ო) საკუთარ სოციალურ აქტივობაზე პასუხისმგებლობის გააზრების, ასევე, სხვათა ქმედების გაგებისა და გათვალისწინების უნარი; ეთიკური ნორმების დაცვის უნარი;

პ) კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით მართვის უნარი;

მუხლი 10. მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომა

ა) ყველა მოსწავლე არის უნიკალური თავისი ინდივიდუალური ფიზიკური და ფსიქიკური მახასიათებლებით, შესაძლებლობებით, ემოციებით, ინტერესებით, პირადი გამოცდილებით, აკადემიური საჭიროებებით და სწავლის სტილით, რაც გათვალისწინებული უნდა იქნეს სწავლა-სწავლების დროს;

ბ) სწავლა უნდა მიმდინარეობდეს პოზიტიურ და მოწესრიგებულ გარემოში, სადაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პოზიტიურ ურთიერთობებსა და ინტეგრაციას, სადაც მოსწავლე არის დაფასებული, აღიარებული...)

სწორედ ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორი უთრთიერთობა აქვთ ჩამოყალიბებული კლასებში,

ახერხებენ თუ არა მოსწავლეები ჰქონდეთ ერთმანეთთან კარგი ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს სწავლის დონის ამაღლებას.

კვლევის ეტაპები დაწვრილებითი აღწერა

ეტაპი I - პედაგოგებისთვის აზრის გაზიარება და მცირე გამოკითხვა

საკვლევი თემა, მოსწავლეებში კარგი ურთიერთობის დამყარებაა, თემა მეხუთე კლასიდან მერვე კლასის ჩათვლით, ურთიერთობის დაყრდნობით შევარჩიე. იდეა გავუზიარე კოლეგებს (ანდრო ათაბაგს და მაიკო ჭაღალიძეს), რომლებმაც საუბარში აღნიშნეს, რომ ,,ერთმანეთში კარგი ურთიერთობა, მარადიული თემა და პრობლემაა, რომ დღეს ყველაზე მეტად ეს სჭირდება ჩვენს საზოგადოებას, საზოგადოებას კი სწორედ ეს ბავშვები, ეს თაობები შექმნიან რამდენიმე წელიწადში''. სწორედ მათ მირჩიეს, პედაგოგების გამოკითხვით დამეწყო კვლევა და ასეც მოვიქეცი.

იმისათვის, რომ საბოლოოდ დავრწმუნებულიყავი გადაწყვეტილების სისწორეში, პედაგოგებს რამდენიმე შეკითხვა დავუსვი:

ა) აქტუალურია თუ არა დღეს ემპათია?

ამ კითხვაზე გადაჭრით დადებითი პასუხი მივიღე 10 პედაგოგისგან.

ბ) არის თუ არა ურთიერთობა დღევანდელი ახალგაზრდების პრობლემა?

ამ შეკითხვასაც რესპოდენტმა დადებითი პასუხი გასცა.

გ) მოქმედებს თუ არა სასწავლო პროცესზე, მოსწავლეთა კარგი ურთიერთობა?

ა) არა;

ბ) ნაწილობრივ ;

გ) კი. -

ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმის გააზრება, რომ რასაც ვფიქრობდი ამ საკითხზე, იმავე აზრის აღმოჩდნენ ჩემი კოლეგები. ეს ნამდვილად კარგი ბიძგი იყო

კვლევის დასაწყებად, ვინაიდან, ერთია, რას ვფიქრობთ ჩვენ და მეორე - როგორია რეალობა. ხოლო თუ ეს უკანასკნელი დაემთხვა ჩვენს ნაფიქრსა და ერთი შეხედვით დანახულს, მაშინ მით უფრო მეტად საჭირო ყოფილა იმაზე დაფიქრება, თუ როგორ შეიძლება ამ პრობლემის
გადაჭრა თუ არა, შესუსტება მაინც.

ზოგადი დაკვირვება და მისი ანალიზი

საკვლევი თემის შერჩევისა და კოლეგებთან (დამრიგებლებთან) კონსულტაციების შემდეგ ვიწყებ აღნიშნულ კლასზე გარეგან, ზოგად დაკვირვებას. ვატარებ გუნდურ სამუშაოებს, საუბრებს ისეთ თემებზე, რომელიც პირდაპირ არ შეეხება საკითხს, მაგრამ მაწვდის ზოგად ინფორმაციას, როგორი ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. ამ დროს გადამწყვეტია დამრიგებლების თანადგომა, რადგან მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ჩემთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

საწყისი სურათი:

სამიზნე ჯგუფზე ზოგადმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ
ამ კლასში ჩანს, რომ მათ შორის ურთიერთობა ჭირს, კლასში შემოსულები არჩეულ მერხსა თუ ადგილს ეძებენ, იმის მიუხედავად, რომ კლასებში ცოტა მოსწავლეა მათ ურთიერთობა უჭირთ, ეს გუნდურ სამუშაოში ყველაზე მეტად იგრძნობა...

ბავშვებს უჭირთ ერთმანეთის აზრის მოსმენა, ერთმანეთს არ აცლიან საუბარს და ხშირად ეუხეშებიან ერთმანეთს. ეს შეიმჩნევა არა მარტო კლასში არამედ სკოლის ეზოშიც ზოგჯერ რთულდება და იძაბება ურთიერთობები, ვხდებით, ირონიის, ცინიზმისა და უხეშობის ფაქტებს. ეს თითქოს გასავლელი გზაა, თითქოს ყველა შეგუებულია, დიდიც და პატარაც, მოსწავლეც და მშობელიც, მაგრამ სინამდვილეში, ეს ყველას გვაწუხებს და გვაფიქრებს.

კლასი თითქოს ვერ შეიკრა, სულ რაღაც გულსატკენი წვრილმანები ჩნდება; ხან ერთია აცრემლებული და ხან მეორეა განმარტოებული. უხეშ ხუმრობებში ადვილად უყვებიან ერთმანეთს...

ეტაპი II - გამოკითხვა და მისი შედეგების ანალიზი

ანონიმური გამოკითხვა:

მოსწავლეების პირველადი (ზოგადი) გამოკითხვა

მოსწავლეებს ვურიგებთ ფურცელზე დაწერილ კითხვებს:

ა) ამხანაგების როგორი დამოკიდებულება, მათი როგორი საქციელი მოქმდებს თქვენზე უარყოფითად?

ეს ღია კითხვაა, რომელზეც მოსწავლეები თავად სცემენ მოკლე და ზოგად პასუხებს. ეს პასუხები ჩვენთვის მნიშვნელოვანია ზოგადი სურათის დასანახად, მოსწავლეთა განწყობისა და დამოკიდებულებების შესასწავლად.

მოსწავლეთა პასუხები, როგორც მოსალოდნელი იყო, არაერთგვაროვანი გამოვიდა. რამდენიმე მათგანმა ხუმრობით უპასუხა კითხვას, რაც შეიძლება, მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს. მოსწავლეები აღნიშნავდნენ, რომ მათზე ცუადად მოქმედებს , ,,დაცინვა'', ,,როცა არ გისმენენ'', ,,ირონია'', ,,როცა ვინმეს ამცირებენ'', ,,ვინმეს რომ დასცინიან'', ,,როცა გვერდით არ გყავს ისეთი მეგობარი, რომლესაც მოუყვები...'' ,,როცა ვერავის უზიარებ...''

ვფიქრობთ, ეს ამონარიდები საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ ამ ყველაფერს ბავშვები თავიანთ გარემოში გრძნობენ და საკმაოდ მტკივნეულად განიცდიან.

ბ) მოქმედებს თუ არა თქვენზე კლასელების დამოკიდებულება?

ა) არა ;

ბ) კი ;

გ) ნაწილობრივ.

ეს კითხვა ასევე ადასტურებს მოზარდების მაღალ მგრძნობელობას, სასკოლო ურთიერთობების დიდ მნიშვნელობას.

მოსწავლეების საფუძვლიანი გამოკითხვა

მეხუთე კლასელებთან (3 მოსწავლე)

1. **მოქმედებს თუ არა თქვენზე კლასელების დამოკიდებულება?**

ა) არა ;

ბ) კი ;

გ) ნაწილობრივ.

2. **როგორი ურთიერთობა მაქვს კლასელებთან**

ა) ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა;

ბ) ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს;

გ) ძალიან კარგი ჯგუფია, მყავს მეგობრები.

3. **მიგებენ თუ არა ჩემი ამხანაგები?**

ა) ისინი ვერ მიგებენ;

ბ) არ ვართ ისე ახლოს, რომ ,,გაგებაზე'' ვილაპარაკო;

გ) ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, კონფლიქტების გარეშე ამიტომ ვფიქრობ, მათ მეტ-ნაკლებად ესმით ჩემი;

ე) დიახ, მათ მშვენივრად ესმით ჩემი.

4. მესმის თუ არა ჩემი კლასელების

ა) არ მესმის მათი;

ბ) დია, კარგად მესმის.

5. მტკენია თუ არა გული კლასელებისგან?

ა) ძალიან ხშირად ;

ბ) დიახ, ადრეც ყოფილა და ახლაც არის ასეთი შემთხვევები ;

გ) თავიდან უფრო მწყინდა ხოლმე რაღაცები, ახლა - იშვიათად;

დ) არა.

გამოდის, რომ უმეტესობა გულნატკენია. რა თქმა უნდა, დროთა განმავლობაში, ალბათ მათი ურთიერთობა დალაგდება და აეწყობა, მაგრამ სანამ ეს მოხდება, მოსწავლე კარგავს განწყობას, სკოლაში სიარულისა და სწავლის ხალისსაც კი. ხდება უხეში და უმართავი, რომელსაც არა აქვს კარგი ურთიერთობა თანაკლასელებთან. ამდენად, ვფიქრობთ, ეს პრობლემა დაფიქრებასა და გადაჭრას მოითხოვს.

შეგუებისა და ურთიერთგაგების პროცესის დასაჩქარებლად თითოეული პედაგოგი გამუდმებით უნდა მუშაობდეს, რადგან, არც თუ იშვიათად, ეს პრობლემები თავს იჩენს ხოლმე მაშინაც კი, თუ კლასი ახალი კი არა ძველი დაკომპლექტებულია. ამ პროცესების გამწვავებაზე ზეგავლენას ახდენს უამრავი ფაქტორი: ასაკი, შეჯიბრის მომენტის აქცენტირება სწავლების პროცესში, ზოგჯერ გამორჩეული მოსწავლეებიც კი.

ეტაპი III – პედაგოებთან დამატებითი გასაუბრება

პრობლემა იდენტიფიცირებულია, წინასწარი ვარაუდებიც გამართლდა, თუმცა სამოქმედო გეგმის დასახვამდე საჭიროდ ჩავთვალეთ კიდევ ერთხელ

გავსაუბრებოდით კოლეგებს. საუბრის მიზანი გახლდათ პედაგოგების მოსაზრების მოსმენა და მათი გამოცდილების გაზიარება.

პედაგოგებს მივმართეთ ღია კითხვით: ,,რა ხერხებს/მეთოდებს/აქტივობებს მიმართავთ მოსწავლეებში ურთიერთობის მოსაგვარებლად

პედაგოგთა უმეტესობა, განსაკუთრებით დამრიგებლები ასახელებდნენ აქტივობებს, როგორიცაა: ექსკურსია, კლასის საათი, მუზეუმსა თუ თეატრში მოსწავლეთა წაყვანა. ფილოლოგებმა აღნიშნეს, რომ მათ დამატებით ეხმარებათ ლიტერატურული ტექსტები. ნამდვილი მკითხველობა ისედაც გულისხმობს ნაწარმოების გმირის ,,ტყავში ჩაძვრომას'', პერსონაჟების მიმართ ემპათიის განცდას. გარდა ამისა, მართლაც არაერთი ნაწარმოები პირდაპირ ,,გვასწავლის'' ადამიანურ თანაგანცდას, სწორი, ჯანსაღი ურთიერთობების საჭიროებასა და აუცილებლობას.

არის კი ეს ყველაფერი საკმარისი? კიდევ რისიც გაკეთებაა შესაძლებელი?

ეტაპი IV - სამოქმედო გეგმის დასახვა

გამოკითხვის შედეგების გაანალიზება და სამოქმედო გეგმის დასახვა მეტად საპასუხისმგებლო საკითხია. თავისთავად, გასაგებია, რომ პრობლემას ისედაც ვხედავდით, ვგრძნობდით და, ამდენად, შედეგებიც მოსალოდნელი იყო. მთავარი ეტაპი კი ახლა იწყება - გეგმის დასახვა და აქტივობების შედგენა. ეს პროცესი გუნდურობას საჭიროებს პედაგოგების მხრიდან. აუცილებელია, რომ პროცესში ჩართულები იყვნენ დამრიგებლები, სხვა პედაგოგები და საჭიროების შემთხვევაში, მშობლები.

ამდენად, ერთიანი დაკვირვების ფონზე მიდის შემდგომი პროცესი, ვინიდან მონიტორინგის სხვა ხერხები აქ გამოუსადეგარია. დაკვირვების შედეგად მიღებულ ინფორმაციას პედაგოგები ვუზიარებთ ერთმანეთს.

დამრიგებლებთან აზრთა შეჯერების საფუძველზე შევიმუშავეთ **სამოქმედო გეგმა** - *დავსახეთ საჭირო აქტივობები და გადავწყვიტეთ, ყოველდღიურად*

დავკვირვებოდით მოსწავლეებს. კომპლექსური მიდგომა, ბუნებრივია, ბევრად ეფექტური იქნება, ვიდრე ცალ-ცალკე განხორციელებული აქტივობები.

აქტივობების ნუსხა:

1.ზოგადი მიდგომა

ა) კონკურენციის მომენტის შემსუბუქება და მოსწავლეთა დამსახურებებისა და ღირსებების წინა პლანზე წამოწევა;

ბ) პროექტებითა თუ სხვა აქტივობებით მოსწავლეთათვის საკუთარი შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენის საშუალების მიცემა;

გ) მეტი განმავითარებელი შეფასება მეხუთე კლასში.

(ეს ხელს შეუწყობს მოსწავლეების გაცნობისა და ურთიერთდაფასების პროცესს.

ინტერესებისა და შესაძლებლობების წარმოჩენა დაეხმარება მოსწავლეებს თვითდამკვიდრებაში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონკურენტულ გარემოში ძნელია ურთიერთობის ჩამოყალიბება განვითარება, უფრო სწორად თუ ვიტყვით, ამ პროცესს ნამდვილად სჭირდება ხელის შეწყობა. ამიტომ პირველ პერიოდში, გაკვეთილებზე კონკურენტული დამოკიდებულებების ,,მოხსნა'' და განმავითარებელ შეფასებაზე აქცენტირება, დაგვეხმარება მოსწავლეთა ურთიერთობების ,,დათბობაში'').

2. პერიოდული საუბრები მოსწავლეებთან მტკივნეულ, პრობლემურ თემებზე:

ა) სადამრიგებლო საათის გამოყენება

ბ) ქართულის გაკვეთილები (სასწავლო პროგრამაში არსებული ლიტერატურული რესურსის გამოყენება და დამატებით შეტანა ისეთი ნაწარმოებებისა, რომელშიც ტკივილზე, თანაგანცდაზე ან პირიქით ადამიანთა

გულგრილობაზე საუბარი (სასკოლო თემატიკა იძლევა ამ საკითხებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას: ,,სახრჩობელაზე'', ,,მარიტა'', ,,გაღმა ნაპირი'', ,,ჩიტების გამომზამთრებელი'' და სხვა) კლასგარეშედ კი უმჯობესია მცირე ფორმის ნაწარმოებების შერჩევა (მაგ.: გოდერძი ჩოხელის მოთხრობები).

3. დავწეროთ თავისუფალი თემები:

თანაგრძნობა; რისი თქმა მინდოდა, როცა გაბრაზებული ვარ; აი, რა მტკენს გულს/აი, რა მეწყინა და მისთ.

4. დისკუსია/საუბარი/დებატები

რატომ ტკენენ ადამიანები ერთმანეთს გულს

რა მჭირდება იმისთვის, რომ თავი კარგად ვიგრძნო

როგორ მესმის მეგობრობა და თანამშრომლობა

დასცინიან სუსტს თუ დასცინის სუსტი?

და სხვა...

5. გასვლითი გაკვეთილი ბუნებაში (მისაღებია ნებისმიერი აქტივობა, რომლიც არა სასკოლო გარემოში ხდება მთელი კლასის ჩართულობით, რადგან არა სასკოლო გარემოში მოსწავლეები უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს)

მაგ. - მინიპროექტის დასკვნითი მეცადინეობა - პრეზენტაცია - ,,ჩემი საყვარელი მწერალი და საზოგადო მოღვაწე''.

6. ექსკურსიები (ტრადიციულად, დავგეგმეთ, დამრიგებლების დახმარებით ერთობლივად)

7.პროექტები

სასურველია, განხორციელდეს პროექტები, რომლებშიც, როგორც ცნობილია, მოსწავლეებს მიეცემა საკუთარი შესაძლებლობების, ღირსებების, საკუთარი მისწრაფებებისა და ინტერესების უკეთ წარმოჩენის საშუალება და რაც მთავარია, მეტი

საქმიან-თანამშომლური კონტაქტი ექნებათ ერთმანეთთან, რაც მათ დამეგობრებასაც შეუწყობს ხელს.. გარდა ამისა, პროექტი ხომ ყველაზე მეტად მოითხოვს გუნდურობას.

ყოველივე ზემოთქმული მოსწავლეებს ეხმარება თვითდამკვიდრებასა და შეგუების პროცესში. გარდა ამისა, მათთვის სახალისო და საინტერესოა მრავალი აქტივობა, რაც აამაღლებს მათ განწყობას და შეცვლის ზოგადად ერთმანეთის მიმართ დამოკიდებულებას. აგრეთვე მუშაობის პროცესში ერთმანეთთან და პედაგოგებთანაც მეტ საერთოს გამონახავენ.

ეტაპი V - დაგეგმილი აქტივობების განხორციელება

დაგეგმილი აქტივობები ეტაპობრივად განვახორციელეთ. დამრიგებლები იყენებდნენ სადამრიგებლო საათს, პროექტების განხორციელება ხდებოდა, როგორც საგაკვეთილო, ასევე არა საგაკვეთილო სივრცესა და დროში. უნდა აღინიშნოს, რომ ქართულის გაკვეთილი ყველაზე მოსახერხებელია სხვადასხვა პრობლემებისა თუ თემების წამოსაწევად. აქ ხომ ისედაც გვიწევს საუბარი ისეთ თემებზე, როგორიცაა, თანაგრძნობა, ადამიანი, ტკივილი და სხვა. და ვფიქრობ, არც ერთ პედაგოგს არ გაუჭირდება ამ საკითხებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით დასახული მიზნების ურთიერთშეხამება (სეგ-ს ზოგადი ნაწილი უკვე მოიყვანეთ მაგალითად, დაწვრილებით კი - თითოეულ პროექტსა თუ გაკვეთილს შევუსაბამეთ).

ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ დაგეგმილი აქტივობები სრულად განვახორციელეთ დამრიგებლებთან ერთად. თავიდან მოსწავლეებს უჭირდათ ინიციატივის გამოხატვა და აქტიური ჩართვა, მაგრამ ექსკურსიების, დისკუსიების შემდეგ პროექტზე მუშაობას რომ შევუდექით, მეტი ხალისი და აქტიურობა შეინიშნებოდა.

განვახორციელე რამდენიმე პროექტი:

ა) ,,აღმოაჩინე პოეტი” (დასკვნითი ეტაპი -პოეზიის საღამო).

ბ) ,,რატომ ტირის ადამიანი” (წავიკითხეთ და განვიხილეთ ილია ჭავჭავაძის მოთხრობა,,გლახის ნაამბობს“)

მაგალითისთვის გთავაზობთ ორი პროექტის მოკლე მიმოხილვას

მეხუთე კლასის მოსწავლეებმა გამოთქვეს სურვილი, გაგვეკეთებინა მინიპროექტი, ისეთი რამ, რაც მოკლე დროში განხორციელდებოდა,

უამრავი იდეა გაჩნდა... ბოლოს, მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, რამე ისეთი შეერიათ, რომ პრობლემურ თემაზე ყოფილიყო.

1. გადაწყვიტეს, ჯერ კლასში ჩაეტარებინათ ანონიმური გამოკითხვა, რათა ყველას გულწრფელად გამოეხატა თავისი მოსაზრება...

რა მაწუხებს...

რა პრობლემას ვხედავ...

რა მსურს...

2. გადაწყვიტეს, კლასში ჩატარებული აქტივობის შემდეგ თანატოლებსაც გაუზიარონ ეს კითხვარი, შევსება თხოვონ და საბოლოო შედეგები გააანალიზონ - გაიგონ, რა ადარდებთ მათ თანატოლებს, რა სურვილები აქვთ...

სურვილებთან დაკავშირებით კიდევ ერთი იდეა გაჩნდა- გადაწყვიტეს, ერთი ყუთი შექმნა და მასში სკოლელების სურვილები შეეგროვებინათ... თავისი სურვილები დაწერეს და ყუთში ჩაყარეს. - აქვე ჩაიფიქრეს, რომ ვინმე ერთის ან რამდენიმე ბავშვის რეალური სურვილი შეარჩიონ და ახდინონ ან ახდენაში დაეხმარონ როგორმე .

3. პირველი აქტივობის შედეგები განვიხილეთ, შევაჯამეთ, მთავარი გამოვკვეთეთ, ვიფიქრეთ, რაზე აჯობებდა თემის დაწერა, რომელი საკითხის არჩევა სჯობდა დასაწყისისთვის....

გამოიკვეთა <u>**ურთიერთობის პრობლემა,**</u> იშვიათი იყო გლობალური საკითხები... როგორც ჩანს, ურთიერთობა მაინც მთავარია, ამ ეტაპზე...

4. დავწერეთ თხზულებები. თემა - დაცინვა.

5. დავწერეთ ჩანახატები, ესეები, მინიატურები....

6. ერთმანეთისთვისაც მოუნდათ რამე სასიამოვნოს გაკეთება - რა ფორმით შეიძლება სითბოსა და სიყვარულის გამოხატვა? უამრავი ფორმით, სკოლის დამთავრების ბოლო დღეს ერთმანეთს სამახსოვრო საჩუქრებს გაუცვლიან....

7. სურვილების ყუთი შეივსო... შედეგები გავაანალიზეთ - მხიარული, სევდიანი, სერიოზული თუ სახუმარო სურვილები მრავლად იყო....

ბ) პროექტი ,,ტკივილი"

გამოწვევა:

ა) რა არის ურთიერთობა?

ბ)ურთიერთობის რა და რა სახე ვიცით?

მრავალფეროვანი აქტივობები თავიდან ინდივიდუალურ სამუშაოზე, მხატვრული ტექსტების ერთობლივ განხილვასა და გაანალიზებაზეა დაფუძნებული. შემდეგ ნელ-ნელა ერთვება მუშაობა წყვილებში და ბოლოს - გუნდურიბის პრინცის გამოყენება (ვინაიდან ეს უკანასკნელი უჭირდათ სწორედ ეს უკანასკნელი უვითარებს მოსწავლეებს სოციალურ უნარ ჩვევებს და აქამდე როგორმე უნდა მიგვეყვანა ისინი).

აქტივობები

1. წავიკითხეთ, ილია ჭავჭავაძის ,, გლახის ნაამბობი" გავაანალიზეთ და ყურადღება გავამახვილეთ მეგობრების ურთიერთობაზე.

მოსწავლეები გამოხატავენ მოსაზრებებს, გადმოგვცემენ შთაბეჭდილებებს, მსჯელობენ ნაწარმოებების მთავარ სათქმელსა და სათქმელის გადმოცემის თავისებურებებზე, აანალიზებენ მოსწავლეები, მეგობრის ცუდმა საქციელმა რა შედეგი მოიტანა, ტექსტის მხატვრულ მხარეზე.

ა) **წარმოსახვა** - ბარათებს ვურევთ ერთმანეთში, მოსწავლე იღებს ერთ-ერთს, კითხულობს და წარმოიდგენს საკუთარ თავზე და ამბობს, რას გრძნობს...წაკითხული მასალიდან გამომდინარე

ბ) **სურვილების ხე** - დაწერე დადებითი სურვილი მეგობარზე.

გ) **გაეცი პოზიტივი** - წყვილებში ერთმანეთს უწერენ კომპლიმენტს ან ამთავრებენ წინადადებას: ,,მე შენში მომწონს.....''

13. პროექტის მოსწავლისეული შეფასება ანუ ,,რა მომცა ამ პროექტმა''

ეტაპი VI - მიღებული შედეგები

აქტივობებით მიღებული შედეგების ზოგადი მიმოხილვა

ჩატარებული აქტივობების შედეგები აისახებოდა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებებსა და მათ განწყობაზე. რა თქმა უნდა, განწყობის პირდაპირი გაგებით, გაზომვა შეუძლებელია, მაგრამ მასწავლებლები მუდმივი დაკვირვების წყალობით, შესაძლებელი გახდა იმის დადგენა, რომ ურთიერთობები ,,გათბა'', კლასი ,,შეიკრა''.

რაც შეება პროექტების შედეგებს, ეს კიდევ უფრო ადვილი ჩამოსაყალიბებელია, რადგან აქტივობების განხორციელების პროცესში ეტაპობრივად ხდებოდა გარკვეული ამოცანების დასახვა-გადაჭრა და შედეგებზე გასვლა.

პროექტების შედეგები:

- ✓ მოსწავლეები დაუფიქრდნენ ურთიერთობის რაობასა და მის გამომწვევ მიზეზებს; გააცნობიერეს, ფიზიკურ ტკივილზე მწვავე და მძიმე შინაგანი, სულიერი ტკივილია და დაასკვნეს, რომ ამ გულისტკივილს ადამიანები აყენებენ ერთმანეთს...
- ✓ ბავშვებმა ლიტერატურული ტექსტების შესწავლის გზით შეიმეცნეს, რომ უნაღვლო არავინაა, ყველას აქვს თავისი სადარდებელი და საფიქრალი, მაგრამ ამ დარდს სიჩუმე არ შველის (,,დიდი ლხინია ჭირთა თქმა'' - ,,ვეფხისტყაოსანი'') და ურთიერთგაზიარება საუკეთესო წამალია.
- ✓ მოსწავლეებმა შეძლეს კომუნიკაციის გაუმჯობესება, რაშიც გადამწყვეტი როლი ითამაშა ერთად ყოფნამ, გასვლითმა გაკვეთილებმა, გუნდურმა მუშაობამ, სხვადასხვა მტკივნეულ თემაზე გულღია საუბრებმა თუ წერილობითი ტექსტების შექმნამ.

- ✓ რაც მთავარია, ბავშვებმა შეძლეს იმის გამოხატვა, რაც აწუხებდათ - უთქმელი დარდები გაუზიარეს ერთმანეთს და თანაუგრძნეს.
- ✓ და ბოლოს, ბავშვებს ჩამოუყალიბდათ კარგი ურთიერთობა და შეძლეს ერთმანეთის გულებში ჩახედვა და აღმოაჩინეს, რომ აუცილებელია ერთმანეთში კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბება რადგანაც ერთმანეთს ჰგავს (ტკივილების ყუთის შექმნის შემდეგ, როცა ტკივილები შეგროვდა, ერთად განვიხილეთ ისინი და ამ პროცეს გულწრფელი ცრემლები სდევდა. როცა სხვისი ტკივილი ცრემლს გგვრის, ეს უკვე ნიშნავს ჭეშმარიტ თანაგანცდას. ვფიქრობ, ამ ყველაფრის გააზრების შემდეგ ადამიანი უფრო კეთილი და მოწყალე ხდება; ცდილობს სხვას არ მიაყენოს ტკივილი და თუ ამ ტკივილს დაინახავს, მის შემსუბუქებას ეცდება).

ასე ჩამოყალიბდება კარგი ურთიერთობს მოსწავლეებს შორის

- **მათი შეცვლილი დამოკიდებულებები გამოიხატა სურვილებში**
- **სადიაგნოსტიკო ტესტის** ფუნქცია შეასრულა თამაშმა - **„მე შენში მომწონს....”**
- გამოჩნდა, რომ ჩატარებული ღონისძიებებით მათ ერთმანეთში დადებითი მხარეები აღმოაჩინეს...

შემაჯამებელი სადიაგნოსტიკო ტესტი (მონაწილეობდა 3-ვე მოსწავლე)

მხოლოდ დაკვირვებაზე დაყრდნობით ძნელია ზუსტი დასკვნების გამოტანა და რაიმეს მტკიცება. ამიტომ გადავწყვიტეთ, საბოლოო სადიაგნოსტიკო კითხვით მიგვემართა მოსწავლეებისათვის, რომლებიც ინტერვენციაში მონაწილეობდნენ.

როგორი ურთიერთობა მაქვს კლასელებთან

ა) ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა - 0

ბ) რამდენიმესთან გამოვნახე საერთო ენა - 0

გ) ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს - 1

დ) ძალიან კარგად ვგრძნობთ თავს, მეგობრებიც გავიჩინე - 2

- **როგორც ვხედავთ, სურათი რადიკალურად შეიცვალა**

  შეგვიძლია, შევადაროთ საწყის სურათს!

დასკვნები

- როგორც ვნახეთ, მოსწავლეებს სკოლის პერიოდში(და როგორც ცნობილია, სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე) უჩნდებათ გარკვეული პრობლემები ურთიერთობების თვალსაზრისით. მათ უჭირთ საერთო ენის გამონახვა, თანაგრძნობის გაცემა თუ მიღება. ეს პროცესები პედაგოგებისაგან განსაკუთრებულ მიდგომასა და ყურადღებას მოითხოვს, საჭიროებს გარკვეული (მაგალითისთვის, ზემოთმოყვანილი) აქტივობების განხორციელებას.
- ,,კარგი ურთიერთობა უდიდეს როლს თამაშობს ინტერ პერსონალური, პიროვნებათა შორისი კომუნიკაციის პროცესში, რადგან იგი ხელს უწობს ბარიერების მოშლას ადამიანთა ურთიერთობებში.''
- ურთიერთობის გამომუშავება-სწავლება შესაძლებელია სხვა და სხვა ღონისძიებების საშუალებით;
- ჩვენ მიერ განხორციელებული პროექტებით სწავლება და ურთიერთობის შეგრძნება (მიღება და გაცემა) ეხმარება მოზარდს, დაიკმაყოფილოს მას ლოუს პირამიდის მესამე, მეოთხე, მეხუთე საფეხურებით გათვალისწინებული შინაგანი მოთხოვნილებები: სოციალური (მეგობრობა, მიკუთვნებულობა, სიყვარული), რაც თავის მხრივ, საფუძველია შემდეგი საფეხურებისა - დაფასება, თვითრეალიზაცია. ეს კი, როგორც ვიცით, მისი დადებითი განწყობის, მუშაობისთვისა თუ ცხვრებისთვის მზაობის საფუძველია.

ამრიგად, გარემო ურთიერთდაფასებისა და თვითრეალიზაციის უმთავრესი წინაპირობაა, რაც, თავსი მხრივ, მოზარდს გზას უხსნის უმაღლესი სააზროვნო უნარების ბოლომდე გასახსნელად და წარმოსაჩენად.

გამოყენებული ლიტერატურა და ბმულები

1. ლობჟანიძე ს., პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა, ლექცია N7 http://videochannel.iliauni.edu.ge/7-1-7/
2. ლობჟანიძე ს., როგორ წარვმართოთ პედაგოგიური კვლევები, ინტერნეტ გაზეთი ,,მასწავლებელი''http://mastsavlebeli.ge/?p=281
3. პედაგოგიური კვლევის მეთოდები http://education.ge/index.php?do=definition/view&id=1308

4 როგორ ვაწარმოოთ პედაგოგიური კვლევა http://www.slideshare.net/mylenss/ss-15892201

5. სიმპათიური და ემპათიური https://vtsertsvadze.wordpress.com/2013/01/22/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98/
6. სოციალური და ემოციური უნარების სწავლება - http://portage.ge/sites/default/files/%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%93%E1%83%90%20%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98%20%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1%20%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90.pdf

7. უფროსი და წამყვანი მასწავლებლების დამატებითი აქტივობების შეფასება https://www.youtube.com/watch?v=chS8Q77BUow

დანართი N1

პედაგოგთა კითხვარი.

მოგესალმებით, <u>შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ</u> ბრილის საჯარო სკოლის პედაგოგი, გუგული ბოლქვაძე ვატარებ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევას თემაზე: „სასკოლო პროცესში მოსწავლეთა ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზები და გადაჭრის გზები“,

თქვენი მონაწილეობა აუცილებელია კვლევის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ანონიმური. გმადლობთ თანამშრომლობისთვის

1. **როგორ ფიქრობთ რა არის სასკოლო პროცესში მოსწავლეთა ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზი?**

ა) სასკოლო გარემო;

ბ) ოჯახური პირობები;

გ) ლიდერობისათვის სწრაფვა.

2. **თქვენი გამოცდილებით რა ფაქტორები უწყობს მოსწავლეებში კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ხელს?**

ა) სასკოლო გარემო;

ბ)სოციალური მდგომარეობა;

გ) ოჯახური პირობები.

3. **თქვენი აზრით, როგორ გაუმჯობესდება შესაბამისად მოსწავლეებს შორის ურთიერთობა?**

ა) მშობელთა ჩართულობა;

ბ) დამრიგებლის საუბარი შესაბამის პრობლემაზე;

გ) მოსწავლეთა დაინტერესება მოცემულ საკითხზე;

4. **თქვენს პრაქტიკაზე დაყრდნობით მოცემულ კლასთან, როდისაა მოსწავლეთა ურთიერთობა დაბალანსებული?**

ა) ჯგუფური მუშაობის დროს;

ბ) ინდივიდუალური მუშაობის დროს;

გ) არასდროს.

5. **თქვენი აზრით , ზემოთ აღნიშნული პრობლემა არის თუ არა დაკავშირებული საბაზო საფეხურზე სწავლებისას ?**

ა) კი;

ბ) არა;

6. **რა ერთობლივი ღონისძიებები, აქტივობები შეუწყობს ხელს აღნიშნული პრობლემის დაძლევას?**

მონაცემთა ანალიზი კითხვარი პედაგოგებისთვის

კითხვა 1. როგორ ფიქრობთ რა არის სასკოლო პროცესში მოსწავლეთა ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზი?

კრიტერიუმი	მასწავლებელი
ა) სასკოლო გარემო;	2

ბ) ოჯახური პირობები	3
გ) ლიდერობისათვისა სწრაფვა.	5



კითხვა 2. თქვენი გამოცდილებით რა ფაქტორები უწყობს მოსწავლეებში კარგი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ხელს?

კრიტერიუმი	მასწავლებელი
ა) სასკოლო გარემო;	4
ბ)სოციალური მდგომარეობა;	2

გ) ოჯახური პირობები.	4



კითხვა 3. თქვენი აზრით, როგორ გაუმჯობესდება შესაბამისად მოსწავლეებს შორის ურთიერთობა?

კრიტერიუმები	მასწავლებლები
ა) მშობელთა ჩართულობა;	4
ბ) დამრიგებლის საუბარი შესაბამის პრობლემაზე;	5
გ) მოსწავლეთა დაინტერესება მოცემულ საკითხზე.	1



კითხვა 4. თქვენი აზრით , ზემოთ აღნიშნული პრობლემა არის თუ არა დაკავშირებული საბაზო საფეხურზე სწავლებასთან ?

კრიტერიუმი	მასწავლებელი
ა) კი;	7
ბ) არა;	3



მოსწავლეთა კითხვარი

მოგესალმებით!

შუახევის მუნიციპალიტეტის, სოფელ ბრილის საჯარო სკოლის პედაგოგი, გუგული ბოლქვაძე ვატარებ საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკის კვლევას თემაზე: „სასკოლო პროცესში მოსწავლეთა ურთიერთობის დაძაბულობის მიზეზები და გადაჭრის გზები“,

კვლევა ტარდება მე- 5 კლასთან, კლასში 3 მოსწავლეა.

თქვენი მონაწილეობა აუცილებელია კვლევის წარმატებისთვის. თქვენგან მიღებული ინფორმაცია შეიძლება იყოს ანონიმური.

გმადლობთ თანამშრომლობისთვის

1.მოქმედებს თუ არა თქვენზე კლასელების დამოკიდებულება?

ა) არა ;

ბ) კი;

გ) ნაწილობრივ.

2. მოქმედებს თუ არა თქვენზე კლასელების დამოკიდებულება?

ა) არა;

ბ) კი;

გ) ნაწილობრივ.

3. როგორი ურთიერთობა გაქვს კლასელებთან?

ა) ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა;

ბ) ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს;

გ) ძალიან კარგი ჯგუფია, მყავს მეგობრები,

4. გიგებენ თუ არა ჩემი ამხანაგები?

ა) ისინი ვერ მიგებენ;

ბ) არ ვართ ისე ახლოს, რომ ,,გაგებაზე'' ვილაპარაკო;

გ) ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, კონფლიქტების გარეშე, ამიტომ ვფიქრობ, მათ მეტ-ნაკლებად ესმით ჩემი;

ე) დიახ, მათ მშვენივრად ესმით ჩემი.

5. მესმის თუ არა ჩემი კლასელების

ა) არ მესმის მათი; ბ) დიახ, კარგად მესმის.

6. **მტკენია თუ არა გული კლასელებისგან?**

ა) ძალიან ხშირად ;

ბ) დიახ, ადრეც ყოფილა და ახლაც არის ასეთი შემთხვევები;

გ) თავიდან უფრო მწყინდა ხოლმე რაღაცები, ახლა - იშვიათად.

დ) არა

კვლევის ანალიზი

მეხუთე კლასელებთან (3 მოსწავლე)

კითხვა 1. მოქმედებს თუ არა თქვენზე კლასელების დამოკიდებულება?

კრიტერიუმები	მოსწავლეები
არა	0
კი	1
ნაწილობრივ	2



კითხვა 2. როგორი ურთიერთობა მაქვს კლასელებთან

კრიტერიუმები	მოსწავლეები
ა) ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა	2
ბ) ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს	1
გ) ძალიან კარგი ჯგუფია, მყავს მეგობრები- 0	0



კითხვა 3. მიგებენ თუ არა ჩემი ამხანაგები?

კრიტერიუმები	მოსწავლეები
ა) ისინი ვერ მიგებენ	1

ბ) არ ვართ ისე ახლოს, რომ ,,გაგებაზე'' ვილაპარაკო	1
გ) ჩვეულებრივი ურთიერთობა გვაქვს, კონფლიქტების გარეშე, ამიტომ ვფიქრობ, მათ მეტ-ნაკლებად ესმით ჩემი	0
დ) დიახ, მათ მშვენივრად ესმით ჩემი	1

-



კითხვა 4. მესმის თუ არა ჩემი კლასელების

კომპეტენციები	მოსწავლეები
ა) არ მესმის მათი	2
ბ) დია, კარგად მესმის	1



კითხვა 5. მტკენია თუ არა გული კლასელებისგან?

კომპონენტები	მოსწავლეები
ა) ძალიან ხშირად	1
ბ) დიახ, ადრეც ყოფილა და ახლაც არის ასეთი შემთხვევები	2
გ) თავიდან უფრო მწყინდა ხოლმე რაღაცები, ახლა - იშვიათად	0
დ) არა	0

კითხვა 6. როგორი ურთიერთობა მაქვს კლასელებთან

კრიტერიუმები	მოსწავლეები
ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა	2
რამდენიმესთან გამოვნახე საერთო ენა	1

ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს	0
ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, მეგობრებიც გავიჩინე	0



დანართი 3

შემაჯამებელი სადიაგნოსტიკო ტესტი (მონაწილეობდა 3-ვე მოსწავლე)

მხოლოდ დაკვირვებაზე დაყრდნობით ძნელია ზუსტი დასკვნების გამოტანა და რაიმეს მტკიცება. ამიტომ გადავწყვიტეთ, საბოლოო სადიაგნოსტიკო კითხვით მიგვემართა მოსწავლეებისათვის, რომლებიც ინტერვენციაში მონაწილეობდნენ.

როგორი ურთიერთობა მაქვს კლასელებთან

კრიტერიუმები	მოსწავლეები
ზოგადად, მიჭირს ურთიერთობა	0

რამდენიმესთან გამოვნახე საერთო ენა	1
ბავშვებთან ნორმალური ურთიერთობა მაქვს	1
ძალიან კარგად ვგრძნობ თავს, მეგობრებიც გავიჩინე	1

საკუთარი პედაგოგიური საჭიროებების კვლევის შედეგების გაზიარების რეფლექსია

მოგეხსენებათ, რომ საკვლევი თემა გახლდათ თანაკლასელებს შორის არა სასურველი ურთიერთობა (მისი მნიშვნელობა, მასთან დაკავშირებული პრობლემები

და მათი გადაჭრის გზები). პრობლემის აქტუალურობისა და ჩვენი სკოლის სპეციფიკიდან გამომდინარე, კოლეგებში ამ კვლევამ იმთავითვე აღძრა ინტერესი. ბუნებრივია, მათი უმეტესობა საქმის კურსში იყო (რადგან ან გამოკითხვაში მონაწილეობდა, ან დამრიგებელი იყო ან პედაგოგი, რომელიც ასწავლიდა, რომელთანაც გასაუბრება შიგადაშიგ მიწევდა).

საბოლოო შედეგებისა და ინტერვენციის ,,გავლენის'' შესახებ ინფორმაცია მათთვის საინტერესო აღმოჩნდა.

კვლევის შედეგები მოკლე პრეზენტაციის სახით წარვადგინე პედაგოგებთან. ბუნებრივია, აღარ დამჭირდა საკითხის აქტუალობის მტკიცება და პირდაპირ კვლევის შედეგები, ინტერვენციის პროცესი და საბოლოო დასკვნები წარვადგინე, რა თქმა უნდა, ვიზუალიზება საჭიროდ ჩავთვალე - კვლევაში წარმოდგენილმა გრაფიკებმა პედაგოგებისთვისაც ადვილად აღსაქმელი გახადა გამოკითხვის შედეგები.

ჩემთვის საინტერესო იყო უკუკავშირი, რომელშიც პედაგოგებმა მომიწონეს საკვლევად ამ საკითხის არჩევა და საინტერესო იდეებიც მომაწოდეს.

ქართულის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ლიტერატურული ტექსტების გამოყენება მართლაც საუკეთესო საშუალებაა. ისტორიის პედაგოგებს კი საინტერესო მოსაზრება გაუჩნდათ, რომ თემასთან დაკავშირებული საკითხები მაგალითების მოძიება ისტორიაშიც შეიძლება და კარგი იქნებოდა, რომ რომელიმე პროექტში მეც ჩამერთო ეს აქტივობა, რასაც სამომავლოდ აუცილებლად გავითვალისწინებ, რადგან ურთიერთობის მოგვარება მოსწავლისათვის არ არის ის თემა, სადაც რაღაცას უნდა მიაღწიო და უნდა გაჩერდე, ფრთხილად და ფაქიზად მუდმივად საჭიროა ამ საკითხზე მუშაობა მოზარდებთან.

დამრიგებელმა აღნიშნა, რომ კარგად ესმოდათ ამ საკითხის უდიდესი მნიშვნელობა. მან თქვა, რომ ჩვენს სკოლაში მეხუთე კლასის ,,შეკვრა'' რთული პროცესია, ამიტომ ეს კვლევა საინტერესოა მისთვის. აღნიშნა ისიც, რომ მასაც გამოუყენებია კლასში დამოკიდებულებების გასაუმჯობესებლად ექსკურსია, ლაშქრობა და ისიც შეუნიშნავს, რომ პროექტებზე მუშაობა დადებითად მოქმედებს

მოსწავლეებზე.ყველა ეს საკითხი პედაგოგისთვის მნიშვნელოვანი თემაა და თითოეულ ჩვენგანს აწუხებს, როცა მოსწავლეში გულგრილობას, ცინიზმის ელემენტებს, უხეშობას ამჩნევს. რა თქმა უნდა, ამაზე იმ მომენტში ყველა პედაგოგი ამახვილებს ყურადღებას, მაგრამ, ძირითადად, ეს მაინც დამრიგებლის პრობლემად აღიქმება. და მისასალმებელია, ამგვარი ჩართულობა სხვადასხვა საგნის პედაგოგებისა. ვფიქრობ, თუ მეხუთე კლასში მუშაობისას გავითვალისწინებთ კვლევაში წარმოდგენილ ინტერვენციას, მართლაც ბევრად მოკლე დროში და ეფექტურად მოვაგვარებთ კლასებში ურთიერთობებისა და მოსწავლეთა თვითდამკვიდრების პრობლემებს.

ერთ-ერთმა კოლეგამ ასევე დიდი ინტერესი გამოხატა კვლევის მიმართ და კარგი იდეაც მოგვაწოდა - ,,ფილმები, რომლებიც თანაგრძნობაზეა - კარგი იქნება ასეთი ფილმების ერთობლივი ყურება და განხილვა''. ეს იდეა იმდენად მომეწონა, რომ პირდაპირ თუ ვიტყვი, გული დამწყდა, რომ ეს აქტივობა არ იყო ჩემს პროექტებში, მით უფრო, რომ საერთოდ მედია მასალებს აქტიურად ვიყენებ სასწავლო პროცესში და ფილმისა თუ ვიდეორგოლების, მულტფილმებისა და სხვათა განხილვასაც ხშირად მივმართავ.ამ იდეას აუცილებლად გავითვალისწინებ - მასალისა და ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით, აუცილებლად შევარჩევ საინტერესო ფილმს.

ამრიგად, უკუკავშირი ჩემთვის მეტად საინტერესო და ეფექტური გამოდგა. დამაფიქრა იმაზე, რომ კიდევ უამრავი აქტივობის მოფიქრება შეიძლება ამ კუთხით; კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა იმაში, რომ ამ საკითხზე მუშაობა აუცილებელია, ხოლო მეთოდების და გზები - ამოუწურავი.

ზოგადად თუ ვიტყვით, ეს არ იყო ტრადიციულად გაგებული ,,გაზიარება'', ეს იყო გულახდილი საუბარი წარმოდგენილ კვლევაზე, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი მთელ კოლექტივს, განსაკუთრებით დამრიგებლებს, რომლებიც მთელი ამ ხნის განმავლობაში თანადგომასა და დახმარებას მიწევდნენ.